# სახალხო გაზეთი

№ 535 — კვირა, 26 თებერვალი 1912 წ. — № 535

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190. ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**ისურათებიანი დამატებაი**

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

**1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.**

**ერთი თვით 75 კაპ.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.



**ახალი კლუბი**

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით ატყობინებს ბ-ნთ კლუბის წევრთა, რომ, რადგან 16 ამა თებერვალს **არ შესდგა წლიური საზოგადო კრება,** ამიტომ

**ინიშნება მეორე საზოგადო კრება**

**26 ამა თებერვალს, საღამოს 8 საათზე.**

1911 წ. ანგარიშისა, 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის გასაშინჯავად და თანამდებობის პირთა ასარჩევად. (3.1068.3)



**ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა**

**წინამძღოლი**

სთხოვს **ბორჩალოს მაზრის** თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **27 ამ თებერვალს შუადღის 12 საათზე სოფელ შულავერში** ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე. იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც საარჩევნო და სათავად-აზნაურო საქმეებში მონაწილეობის უფლება აქვთ, კეთილ ინებონ და ამისი დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2—1126—2)



**სახაზინო თეატრი**

პარასკევს 2 და შაბათს 3 მარტს 1912 წ.

**პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი პ. ს. კოგანი**

წაიკითხავს ორს ლექციას; პარასკევს, 2 მარტს **პირველი ლექცია:**

**—ქალთა საკითხი—**

საზღვარ-გარეთისა და ჩვენს მწერლობაში. 1. ქალთა გამოსვლა საფრანგეთში მე-18 საუკ. დასასრულს. ქალთა ემანსიპაციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი კონდარსე, ოლიმპია დე-გუჟ. 2. სამრეწველო ცვლილებათა და სამეცნიერო ცოდნათა განვითარების გავლენა ქალთა მოძრაობაზე. ჟორჟ ზანდი, მალზაკი და მისი „ოცდაათის წლის დედა-კაცი". 3. მოდერნიზმი და ქალი. იბსენი. მეტერლინკი და ფშიბიშევსკი. 4. სოციალიზმი და დედა-კაცი. 5. დედაკაცის მდგომარეობა დღეს დასავლეთსა და რუსეთში. 6. რუსეთის მწერლობა და დედა-კაცი. ტურგენევი და ტოლსტოი. მწერალ ქალთა საკითხი; ნეკრასოვის დედაკაცები. 7. დედა-კაცი თანამედროვე რუს. მწერლობაში. 8. ქორწინების საკითხი და ბავშვთა აღზრდა. 9. მომავლის პერსპექტივა.

შაბათს 3 მარტს **მეორე და უკანასკნელი ლექცია: ჰამლეტი**

და მისი დადგმა სამხატვრო ძველსა და ახალ თეატრებში საზოგადოდ.

„ახალი" თეატრი. რა მიზანი დაისახა წინანდელ თეატრთან შედარებით. დრამა უმოქმედოდ და მოქმედება დრამაში. შინაგანი დრამა, სტილიზაცია. ჩეხოვის მიერ მოხდენილი სათეატრო რეფორმა. მოდერნიზმი და თეატრი. ფშიბიშევსკისა და მეტერლინკის აზრი თეატრზე. სამხატვრო თეატრმა სად მიატოვა ზემთაგონება და რად მიმართა კლასიკურ რეპერტუარს, და დასდგა: „ვაი ჭკუისაგან" „რევიზორი" „ჰამლეტი" „პატარა" მსახიობზე, „პატარა" რეჟისორზე და „დიდებულ" საზოგადოებაზე. რა არის ჰამლეტი და მისი აზროვნება. რად იწვევს ასეთს დაუსრულებელს განმარტებას, გიოტეს მიერ მოხდენილი ცვლილება ჰამლეტის გაგებაში. დანიის პრინცის პიროვნებაზე დაკისრებულ საკითხის აზრი და მისი წარმოშობის მიზეზები. რომელ ხანაში ახლდება ხოლმე ინტერესი, „ჰამლეტი" და „მუდმივ" ტიპთა მიმართ, რას მოასწავებს ამ პიესის დადგმა. მწერლობისა და თეატრის მახლობელი მომავალი. შექსპირი, ტოლსტოი და მათის დავლურის მნიშვნელობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. საშეგირდო ბილეთი 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—წარმოდგენის დასრულებამდე.

**ანონსი** 24 და 27 თებერვალს ლექციები ბაქოში, 28 თებერვალს—განჯაში, 29 თებ. და 1 მარტს—ქუთაისში. 5.1115.2



**სახალხო უნივერსიტეტი**

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**

დღეს, კვირას, 26 თებერვალს **მ. ჯანაშვილი ქართულად** წაიკითხავს

**ლექციას**

**„ქართველთა ისტორია და მის წყაროების საზოგადო განხილვა". დასაწყისი 10½ საათზე.**

**ნ. ე. ერმოლაევი რუსულად** წაიკითხავს **ლექციას**

„პოლიტიკურ ეკონომიაზე". დასაწყისი 11½ საათზე.

ფასები ორივე ლექციაზე **შაური და ორი შაური.** (1.255.1)



**ტფილისის არტისტიულ თეატრის დარბაზი.**

**კვირას, 26 თებერვალს,**

**დილით** რუსულ ენაზე გაასამართლებენ

**ოტელოს.**

თავმჯდომარე **აკაკი,** ბრალმდებელი **ბ. კაზლოვი,** დამცველი **გ. ბ. გვაზავა. ნაფიცი მსაჯულები:** ქ-ნნი ფ. ს. ვარდანიანი, დ. ზ. განდეგილი, მ. ი. ჩხეიძე, ე. ი. პეპინაძე, მ. ე. თარხნიშვილი-ტოროშელიძისა; ბ-ნნი: გ. დ. ლევონიძე, ბ. შ. ალექსი-მესხიშვილი, რ. ი. ლომინაძე, ბ. სერებრენიკოვი, გ. თ. ჟორდანია, ლ. თ. ტიგრანოვი და სხვ.

ადგილების ფასი 2 მ. 40 კ.-დე. **დასაწყისი 1 საათზე.** (1—2581—1)



**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 244)



**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**გრეიცი.** თვალისა, 1—2 საათამდე.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

[illegible] ქალთა ავად. ორშაბათ, ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—11 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—55).





**КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ**

**ТИФЛИСЪ, БАКУ, БАТУМЪ.**

პარფიუმერიის ტეხნ.-ქიმიურ **ლაბორატორიისა პეტერბურგში**

თმის საზრდელი საპონი „კრესკო" სატუალეტო წყალი „სიყვარულის ყვავილი" კელნის წყალი „ვიოლა ოდორატა" თმის საღებავი „პრიმა ინდიანა". (1.123.1)



**ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა**

**წინამძღოლი**

სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ 26 თებერვალს, დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

ვისაც ამრჩევლის და თავად-აზნაურთა საქმეში მონაწილეობის ცენზი აქვს, კეთილ ინებებენ და საამისო დამადასტურებელ საბუთებს წარმოადგენენ. (3—1108—3).



**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

**„გრდემლი**

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.16)



**საზოგადოების სახლი**

**ლ. და მ. მეტცლი და ამხ.**

**განცხადებათა ცენტრალური განყოფილება**

(1878 წ. დაარსებული)

**მოსკოვში**

ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.

ამით აცხადებს

**რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის**

ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება

**ქალაქ ლოძში.**

პეტროვის ქ., 102. (10—1130—1)



**გამოცდილმა**

**მასწავლებელმა**

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სასულიერო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084.97)



**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

აცხადებს, რომ სალიტერატურო კრებულ „გრდემლის" მეორე წიგნისთვის

**მასალები მიიღება მარტის ბოლომდე.**

კრებულის გამოცემა განზრახულია სამაისოდ.

მისამართი: ოლგის ქუჩის შესახვ. № 5 გ. რცხილაძეს. (10.1124.4)



**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**

**შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—4)



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—278)



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606 -**

(წლ. 1090 28)



**ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.—1129—1).



**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № [illegible]



**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.54).



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 85).



**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—50.



**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10 ტელეფ. 792. (თ. 100—1534—99)



**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 113)



**ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—9)



**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—105).



**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.



**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—7)

# ტფილისი, 26 თებერვალი

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების საქმეები.** ავად იყო თუ კარგად, ამას მახლობელი მომავალი გვიჩვენებს, დრამატიულ საზოგადოების დასმა სეზონი დაასრულა. თავისი დანიშნულებით დრამატიული საზოგადოება მრავალ საქმეებს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ დღემდის მისი მოქმედება მხოლოდ დასის შენახვასა და წარმოდგენების მართვაში გამოიხატებოდა. ამიტომ საზოგადოების ყურადღებასაც განსაკუთრებით მოქმედების ეს მხარე იქცევს. ამჟამად არ გამოუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენად შინაარსიანი იყო სეზონი. ეს თავის დროზე პერიოდულ პრესაში აღინიშნებოდა ხოლმე. საინტერესოა მეორე მხარე. დრამატიული საზოგადოების გამგეობა, მიუხედავად თვალსაჩინო დახმარებისა თავად-აზნაურობისა თუ „ახალ კლუბის" მხრივ მაინც ზარალით ასრულებს სეზონს, როგორც ამბობენ. გადაჭრით ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგანაც მიმდინარე წლის მოქმედების ანგარიში ჯერ არ დამზადებულა. მაგრამ მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი თეატრი კვლავ ნივთიერ კრიზისს განიცდის. წლითი-წლობით გვესმის ერთი და იგივე წუწუნი: დრამატიული საზოგადოება ზარალობს, ვალებს ვერა ჰფარავს, საზოგადოდ უძნელდება დიდი ხარჯების დაფარვაო. მთელი წლობის განმავლობაში იგი მოქცეულა რაღაც მოჯადოებულ წრეში, რომლიდანაც თავი ვერ დაუღწევია.

როგორც ჩვენ გვეგონა, დრამატიული საზოგადოება წელს გაცილებით უკეთესს ნივთიერ პირობებში იყო, ვიდრე როდისმე სხვა დროს. მიუხედავად ამისა, მოჯადოებელ წრეს მაინც თავი ვერ დააღწია. ალბად, მართლაც, მისი მდგომარეობა ისეთი ყოფილა, რომ სერიოზული წამლობა ესაჭიროება. მგონია დროა, ჩვენმა საზოგადოებამაც მეტი ყურადღება მიაქციოს დრამატიულ საზოგადოებას. დიდძალ ფულსა ჰხარჯავს თეატრისთვის ერთის მხრივ თავად-აზნაურობა, მეორის მხრივ თვით დრამატიული საზოგადოება და ის კი ისევ ერთს წერტილზეა გაყინული, არავითარი წინმსვლელობა, არავითარი წარმატება არ ემჩნევა. თეატრთანა და დრამატიულ საზოგადოების მოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საფუძვლიანი და დინჯი შესწავლა, დაკვირვება უნდა. ეს კი მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ეხლავე შეუდგა სამზადისს და საზოგადო კრება, მსგავსად წარსულ წლისა, შუა ზაფხულში არ მოახდინა, როდესაც ტფილისში თითქმის აღარავინ არის ხოლმე.

საჭიროა მუყაითად შესწავლა თეატრის მდგომარეობისა, და ამიტომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა ვალდებულია დროზე დაამზადოს ანგარიშები, დროზე მოიწვიოს საზოგადო კრება და დროზედვე შეიმუშაოს თავისი საკუთარი მოსაზრებანიც თეატრის მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

## ქართული პრესა

სწორედ სამწუხაროა, როდესაც ადამიანი იძულებული ხდება ისეთს უბრალო საგანზე იკამათოს, რომელიც ბავშვისთვისაც კი გასაგებია. მაგრამ რას იზამთ? დღეს „პუბლიცისტის" სამოსელში გახვეული ბავშვები წერაში ერთობიან, და ჩვენც ძალა-უნებურად იძულებულნი ვხდებით ანგარიში გაუწიოთ. თქვენ მაინც გვითხარით, მკითხველო, არის თუ არა რაიმე აზრი „ცხოვრების" ქვემოდ მოყვანილ სიტყვებში:

„ნაციონალიზმი არსებითად ყველგან ერთნაირია,—სწერს „ცხოვრება",—ვინაიდან ნაციონალიზმი არ მოასწავებს ერთ თანასწორობის პრინციპს. ეგ რომ ასთეა (?), ეს სხვათა შორის იქიდანაც კარგად სჩანს, რომ ერთა თანასწორობისა და სწორ-უფლებიანობის დაუძინებელი მტრები—ბობრინსკი-მენშიკოვები და კომპ., რომელნიც რუსეთის პატარა ერებს შექმას უპირებენ, ავსტრიაში რუსინების მონობაზე მოსთქვამენ, ჩეხების ნაციონალურ მოძრაობას სიმპატიით უცქერიან და სხვ.

ეს ყველა ძალიან კარგი, მაგრამ „სახალხო გაზეთი"-რა შუაშია? იკითხავს გაკვირვებული გაზეთი. მოისმინეთ:

„სახ. გაზეთი"-ს ბრძენ პუბლიცისტებისთვის გაუგებარია ისეთი მოვლენა, როცა პოლონელი ნაციონალისტები, სიტყვით ერთა თანასწორ უფლებიანობის მომხრენი, საქმით მისი წინააღმდეგი არიან. ასეთს მაგალითებს არა ერთსა და ორს მოვუყვანდით „სახალხოელებს" როგორც რუსეთის, ისე ავსტრიის და სხვა სახელმწიფოთა ცხოვრებიდან და შევეკითხებოდით, თუ რით აიხსნება მსგავსი მოვლენები.

რატომაც არა! თქვენ შეგიძლიანთ შეგვეკითხოთ, როგორ იზრდება პრასა-ნიახური, შეგიძლიანთ შეგვეკითხოთ, როგორ ჩნდება და ვითარდება ავად-მყოფობა, რომელსაც გრძნობა-გონების სრული ატროფია ჰქვიან; შეგიძლიანთ შეგვეკითხოთ, როგორ მოხდა, რომ უმეცრები სხვის ჭკუის მასწავლებლობას კისრულობენ. ერთის სიტყვით, ბევრი რამ შეგიძლიანთ გვკითხოთ, მაგრამ რა ექნება საერთო ამ კითხვებს ჩვენს დავასთან? მაგრამ ამას ხომ არცა აქვს მნიშვნელობა, ილაპარაკე თუნდა პრასა-ნიახურზე, ოღონდ კი ბოლოში ეწეროს ორი ფრაზა: „სახალხოელები" პურიშკევიჩები არიან.

ამისთანა მწერლებთან კამათიც კი სირცხვილია.

# სახელმწიფო სათათბირო

### დეპეშები.

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.**

განაგრძეს ხოლმშჩინის გამოყოფილ კანონ-პროექტის განხილვა. კამათი გამოიწვია მე 12 მუხლმა

**შეჩკოვი** მოითხოვს კომისიის მიერ გამოტოვებულ მუხლთა აღდგენას, მთავრობის შემოტანილს, რომელიც შეეხებოდა ხოლმსის გუბერნიაში იმ კანონის შემოღებას, რომელიც ქალაქ გარედ მდებარე მიწების სყიდვისა და იჯარით აღების უფლებათა შეზღუდვას ეხება.

**შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ხარუზინი** მოითხოვს ხოლმსის გუბერნიაში ყველა შემზღუდველ კანონების დატოვებას. ხოლმსელები იმავე პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რანაირშიაც მთლად დასავლეთის მხარე იმყოფებაო.

**პარჩევსკი** პროტესტს აცხადებს ყოველგვარ შეზღუდვის წინააღმდეგ. ასეთი შეზღუდვანი პოლონელებს შეურაცხყოფენ, საეკონომიო ურთიერთობას ვნებენ და სიცოცხლეს გაუმწარებენ პოლონელთაც და რუსებსაცაო.

**გრაბსკი.** საჭიროა არამც თუ ახალის შემოღება, არამედ ძველ შეზღუდვათა მოსპობაც. საჭიროა საგლეხო ბანკების წესდებაში ჩავუმატოთ, რომ დახმარება გაუწიოს პოლონელებსაცა. ხოლმსის გუბერნიაში სამჯერ მეტი უმიწა-წყლო პოლონელი გლეხობაა, ვიდრე რუსი.

**ფრიდმანიც** წინააღმდეგია შეზღუდვისა.

**პავლოვიჩს** აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შეზღუდვის კანონი,

**როდიჩევი.** შეუძლებელია უფლების თვალსაზრისი უარვყოთ და გამორჩენის თვალით შევხედოთ ყველაფერსაო: განა შეიძლება ოსმალეთში მცხოვრებ მართლმადიდებლობის გამოსარჩლება, როდესაც თვით აქ არის სარწმუნოება შეზღუდვილიო. როდესაც მთავრობა შეზღუდვას ემხრობა, ამით 17 ოქტომბრის მანიფესტს ეწინააღმდეგება. მოლაპარაკე სათათბიროს აფრთხილებს, მაგ გზას ნუ დაადგებითო.

გადასწყვიტეს სხდომები გამართონ ყოველ დღე, ოთხშაბათობით კი საღამოსაც, შეკითხვებისათვის.

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა 28 თებერვალს დაიწყება.

**ლვოვი 1-ლი** წინააღმდეგია პოლონელთა შეზღუდვისა.

**ეპისკოპოსი ევლოგი.** ხოლმში პოლონელები ახალშენებს ხელოვნურად ამრავლებენ. ამისთვის საჭიროა გუბერნატორიდან აიღონ ხოლმე პოლონელებმა ნებართვა, ხოლმსის გუბერნიაში გადმოსასახლებლად.

**ამოსენოკი** და **ტიმოშკინი** დაჟინებით მოითხოვენ შეზღუდვას. ტიმოშკინმა სთქვა, თუ პოლონელების უფლებას არ შეზღუდავთ, მემარჯვენენი პროექტის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, ვინაიდან პროექტს მაშინ საპრაქტიკო მნიშვნელობა ეკარგებაო.

**ლერხეს** შესწორება შეაქვს: საგლეხო ბანკი რუსებსა და კათოლიკებს თანასწორად უნდა ეხმარებოდესო. ლერხეს მიემხრო **დიმშა და გრაბსკი.**

კენჭის ყრით მე-12 მუხლი კომისიის რედაქციითა და ლერხეს შესწორებით მიიღეს.

სათათბირომ მე-12 განყოფილების განხილვა დაიწყო.

მცირე კამათის შემდეგ, სათათბირომ მოიწონა მუხლები, რომელიც ხოლმსის გუბერნიის რუსობას განსაკუთრებულ უფლებებსა და უპირატესობას ანიჭებს. რუსობისა და საზოგადოდ ეროვნების გამორკვევა უნდა მიენდოს ადმინისტრაციას! თუ ვინმე უკმაყოფილო იქნება, შეუძლიან ადმინისტრაციის გადაწყვეტილება სენატში განასაჩივროს.

**დიმშა** წინააღმდეგია ამ განყოფილების მე-5 მუხლისა. იგი მოითხოვს არა რუსულ წარმოდგენისათვის გარდა წინასწარ ცენზურისა, გუბერნატორის ნებართვასაც.

112 ხმით 107 წინააღმდეგ უარჰყვეს მე-5 მუხლი, ხოლო ტალანში გასვლის დროს 127 ხმით 124 წინააღმდეგ მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს: მე-6 მუხლი, რომლითაც ხოლმსის გუბერნიაში იმოქმედებს ისეთივე საკრედიტო საზოგადოებანი, რანაირიც პოლონეთის სამეფოშია და მე-7 მუხლი, რომლითაც ხოლმსის გუბერნია კიევის საკანტროლო პალატას დაექვემდებარება.

მე-13 განყოფილება პროექტის განხორციელების ვადად ჰნიშნავს 1912 წლის 1 ივლისს. **პანჩევსკი** წინააღმდეგია დროის განსაზღვრისა.

**ლვოვი 1-ლი.** საჭიროა მეტი ხანი, რომ კანონ-პროექტის განხორციელებამ გუბერნიის მართვა-გამგეობა არ არივ-დარიოსო.

სათათბირომ 145 ხმით 75 წინააღმდეგ მე-13 განყოფილება მიიღო. ხოლმსის გუბერნიის გამოყოფის კანონ-პროექტის მეორედ განხილვა ამით გათავდა.

უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი 1915 წლის 1 იანვრამდე დროებით ხარჯთ-აღრიცხვისა. იგი ეხება საგუბერნიო მმართველობასა გუბერნატორის კანცელარიაში მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებას, რისთვისაც ხაზინამ 3,461,425 მანეთი უნდა გადასდოს.

უკამათოდ მიიღეს შვიდი წვრილმანი კანონ-პროექტი.

განსახილველია კანონ-პროექტი, რომლითაც გაუწერელ გადასახადთა სამართველოსათვის სესხი უნდა განსაზღვრონ. კანონ-პროექტის ორი მუხლი მოითხოვს 2,500,000 მანეთის არყის გამოხდელ მექარხნეთათვის და 1,600,000 მანეთი უცხოეთში გასაზავნ სპირტის დაწმენდისთვის ჯილდოს დასანიშნავად.

**ანდრეიჩუკი** წინააღმდეგია ამ ფულის გადადებისა, სათათბირომ ხალხის გასარყვნელად არ უნდა გასცეს ფულიო.

**ჩელიშევი** წინააღმდეგია არყის გამომხდელ ქარხნების ჯილდოს დასანიშნავად 4,500,000 მანეთის გადადებისა. ოთხი წლის წინად სათათბიროში შემოიტანეს წინადადება არყის გამომხდელ ქარხანათათვის ჯილდოს გაცემის გაუქმებისა. თუ ეს აზრი აქამდე არ განუხორციელებიათ, სათათბიროს ბრალიაო.

**გაუწერელ გადასახადთა მთავარ მმართველობის უფროსის თანაშემწე.** ყველაფერს კანონის მიხედვით მოვითხოვთ და ფულის გადადება უეჭველად საჭიროა.

**ანდრონოვი, კინდიაკოვი, კოვალენკო 1-ლი და ბარონი ჩერკასოვი** მომხრენი არიან ფულის გადადებისა.

**კარიაკინი.** კანონის მხრივ ფულის გადადების საკითხს არავინ შეჰხებია, მაგრამ ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვაში იქნება უცნაური მუხლი, რომლის ძალითაც 20 მილიონი ხალხის ფული არყის გამხდელ ქარხანათა პატრონებს უნდა გადაეცეს, მანამდე ეგ საკითხი საკამათოდ დარჩება. მართლაც, რომ ყველამ იცის, რომ ხალხის ფულს უაზროდ აბნევენ.

დავვიანების გამო პროექტის განხილვა ხვალინდელ სხდომამდე გადასდეს.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ხმოსანთა თათბირი.** დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში კერძო თათბირი ექნებათ ქალაქის ხმოსნებს. ქალაქის მოურავის მოადგილის კანდიდატის დასასახელებლად და ქალაქის გამგეობის მეხუთე წევრის მოწვევის თაობაზე.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** წევრები დღეს, დილით, ავლაბრის საქალაქო საავადმყოფოს დაათვალიერებენ.

✦ **ქალაქის გამგეობის მეხუთე წევრის თანამდებობის** დაარსება ქალაქის გამგეობამ საჭიროდ იცნო და ამ საკითხის თაობაზე საბჭოში საგანგებო მოხსენება შეაქვს.

✦ დღეს, დილის $11^1/_2$ საათზე, სახალხო სახლში **ნ. ე. ერმოლაევი სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ ლექციას წაიკითხავს** „პოლიტიკურს ეკონომიაზე".

✦ **ლექციები.** დღეს დილის $10^1/_2$ საათზე, სახალხო სახლში მოსე ჯანაშვილი ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ქართველთა ისტორიისა და მის წყაროების საზოგადო განხილვა".

✦ სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიას საჭიროდ უცვნია ხაზინიდან წელიწადში 127,250 მან. ეძლიოთ 1915 წლამდე კავკასიის ქალაქებს ჯარის ბინის ხარჯის დასაფარავად. ეს ფული ამ გვარად განაწილდება: ტფილისს-70,000 მან., ქუთაისს-12,000 მან., ერევანს-10,000 მ., ახალციხეს-7,500 მ., ბათუმს-5,000 მ., გუმბრს 4,000 მ., ახალქალაქ-3,000 მ. განჯას-2,000 მ., ახალბაიაზეთს-2,000 თემირ-ხან-შურას-2,000 მ., პიატიგორსკს-2,000 მ., ოლთისს-1,500 მ., შუშას—1,250 მ., ლენქორანს, გორს, ყარსს, ნახიჩევანს და ორდუბათს, თითოს-500 მან.

✦ **არჩევნები დიდუბის ეკლესიაში.** დღეს, 26 თებერვალს, წირვის შემდეგ დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მნათისა და სამზრუნველოს წევრების განმეორებითი არჩევნები მოხდება.

✦ **ფრენა.** დღეს დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართება. სხვათა შორის ერთსა და იმავე დროს მფრინავნი ევსიუკოვი და აგაფონოვი გაფრინდებიან ორს ჰაეროპლანზე და ერთმანეთს მაღლა აფრენაზე შეეჯიბრებიან. ბილეთების ფასი დაკლებულია.

✦ **სახაზინო თეატრში** კვირას მასწავლებელ ქალთა საზოგადოება ჰმართავს „ნადსონის დილას".

✦ **ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი მ. ი. ტიმჩენკო-პარშჩენკოსი,** რომელიც ტფილისში ჩამოვიდა, ქუთაისშივე ბრუნდება, სადაც თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგება.

✦ **ვერის სასაფლაო** მომავალ გაზაფხულიდან გამშვენიერებულ უნდა იქმნეს, თანახმად ეგსარხოსის განკარგულებისა. უნდა ჩაყრილ იქმნეს ხეხილებიც.

✦ **ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ** საჭიროდ იცნო, წინადადება მისცეს ტრამვაის დირექციას, მოტორიან ვაგონთა რიცხვს კიდევ 29 მოუმატოს.

✦ ქართული საბავშო კითხვები 26 თებერვალს: **მედიკურ საზოგად. დარბაზში**—ქ. გონიევისა წაიკითხავს „ედიტა და ქურდი" და „თომას თავგადასავალი". **ავჭალის აუდიტორიაში**—ქ. ქართველიშვილი „ქვესკნელის ბავშვები". **ავლაბარში**—ქ. ნასიძისა „დანგრეული ოჯახი". **ნაძალადევში**—ქ. მ. ბარნაბიშვილი „ღვთის წყალობა". **ხარფუხში**—ქ. ჟორდანია „წყალში მცურავები" **ნავთლუღში** ქ. ჯარიაშვილი „მეფის შვილი და რუხი მგელი".

✦ **ილია ალექსანდრეს ძე ცაბაძეს** გამოუგონია **თვით მოშუშავე ცომის საზელი** „ვარცლი". ვარცლი ისეა მოწყობილი, რომ არც მტვერი ჩავა და არც ხელით ზელა მოუნდება, ცხადია არც მზელავის შუბლიდან მონაწური ოფლი ჩაერთობა ცომს. სასურველია ეს ახალი გამოგონება სანდო პირთა თანადასწრებით სცადონ. იგი დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ქალაქებში მეთორნე-მეფურნეებსა ისე კანდიტრებსა და სოფლად—ოჯახებსაც.

✦ ქალაქის გამგეობას საბჭოში წინადადება შეაქვს, რათა ბარონის ქუჩას **კალოუბნის ქუჩა** დაერქვას, ხოლო მეჯევაია ქუჩას—**ჩეხოვის ქუჩა.**

✦ „კავკაზ"-ის სასტუმროში შეიპყრეს ახალგაზრდა კაცი ნიკოლოზ ფილიპეს-ძე კაპლანი, რომელიც „ინჟენერ-ელექტრიკს" ირქმევდა, ხალხს სამუშაოს ჰპირდებოდა და ბედ ფულს სტყუებდა.

✦ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი"-ს თებერვლის ნომერი.

✦ 24 თებერვალს ტფილისში 28 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალის კლუბის** წევრთა წლიური კრება დღეს მოხდება, საღამოს 8 საათზე. კრება განიხილავს 1911 წლის ანგარიშსა და 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვასა და თანამდებობის პირთ აირჩევს.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 27 თებერვალს მოხდება. საბჭოს განსახილველი აქვს 22 საქმე. აი სია ზოგიერთ საქმისა: 1) ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევა, 2) საუნივერსიტეტო კომისიისა და ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის საკითხს შემდეგი მსვლელობა მიეცეს, 3) ქალაქის გამგეობის მოხსენება თავად-აზნაურთა სახლის (განოვის ქუჩაზე) შესყიდვის შესახებ, 4) ქალაქის აუქციონისტთა არჩევნები, 5) ავლაბრის სავაჟო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის არჩევა და სხვა...

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 27 თებერვალს მოხდება. განსახილველია საზოგადოებისა და საბაღოსნო სკოლის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების** კრება 2 მარტს მოხდება მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში.

### სასწავლებლებში

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების** საბჭომ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე: 1) დაამტკიცოს ახალი საკურსო გეგმები, რომელნიც სრულიად ეთანხმებიან უნივერსიტეტისას, 2) გავრცელებულ იქმნეს 1911 წლის 19 დეკემბრის კანონი ტფილისის ქალთა კურსებზედაც, 3) აღიარებულ იქმნეს, რომ კურსებზე სწავლება ისეთივეა, როგორც უნივერსიტეტში და 4) 1912—1913 სამოსწავლო წლის დასასრულიდან შემოღებულ იქმნეს საგანგებო გამომცდელი კომისია კურსების მსმენელთათვის.

### ქუთაისი.

✦ **საბჭოს მორიგი კრება** დანიშნულია 5 მარტისთვის,

✦ ქალაქის ლაბორატორიის გამგემ უმთავრეს სასტუმროებიდან **ღვინოები წაიღო გამოსაკვლევად.**

✦ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მიწის თხრის დროს ამოჩენილა **ორი წყარო.** დონ-დამიანე საააკაშვილს ორივე წყლის ნიმუში გაუგზავნია ქალაქის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად.

✦ პეტერბურგიდან **გ. ზდანოვიჩი დეპეშით იტყობინება:** საბჭოს ყველა შუამდგომლობა, რაც წრევანდლამდე წარდგენილია, მინისტრთა საბჭომ მიიღო, სხვათა შორის რკინის გზის ფრახტის დაკლების საკითხიც. ხოლო დაკლების რაოდენობა სატარიფო კომიტეტმა უნდა გადასწყვიტოსო.

✦ 27 თებერვალს **ოლქის სასამართლოში გაირჩევა შემდეგი საქმეები:** იპოლიტე ქუმბაძის, კირილე დუგაძის და ერმილე ქელიძის; ამათ ბრალდებათ ქალის მოტაცება. რომანოზ რევიას—ქურდობა, ვლადიმერ გელაშვილს — სამსახურის დროს ფულების გაფლანგვა, მიხეილ ყიფიანს—მკვლელობა, ბეგლარ კუჩავას—გაძარცვა და სილიბისტრო სურმავას—ქურდობა.

✦ **ქუთ. ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობის** უკანასკნელ კრებაზე რეჟისორმა მ. **ქორელმა** შეიტანა პროექტი იმისა, რომ გამგეობამ იკისროს **მოძრავ-თეატრის დაარსება,** სხვადასხვა ადგილას მხატვრულ წარმოდგენების გასამართავად. ვინაიდან ამ ძნელი საქმის ხელის მოკიდება ჩვენმა გამგეობამ ვერ იკისრა, იგი მიჰმართავს ტფილისის დრამატიულ საზოგადოებას, დაარსონ მოძრავი თეატრი. გამგეობამ რეჟისორს მ. ქორელს დაავალა ტფილისის დრ. საზოგადოებასთან მოლაპარაკება იქონიოს.

(„კოლხ.")

✦ ქვემო—ქვიტირიდან „ცხოვრებას" აცნობებენ, რომ **ოთხმოცი წლის მოხუცი ანდრია ქაჩხიძეს შეურთავს 16 წლის ქალი,** გვარად შენგელია.

✦ ამ დღეებში **სამტრედიის რკ. გზის დეპოში გამოჰკიდეს სია** იმ პირთა, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ **დეპოს მუშათა დეპუტატების არჩევნებში.** აქვე აღნიშნულია იმ პირების სიაც, ვისი დეპუტატების არჩევაც შეიძლება.

✦ 23 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს დარბაზში **ნაფიცმა ვექილმა ამირეჯიბმა სილა გააწნა კერძო ვექილს პავლე ლორთქიფანიძეს.** ლორთქიფანიძეს ცხვირიდან სისხლი წასკდა.

✦ ხონიდან „ცხოვრებას" აცნობებენ, რომ **საოსტატო სემინარიაში მომხდარ ინციდენტის** ამბავი სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ აცნობა კავკასიის საოლქო სკოლების მზრუნველს. მოსწავლეები მოითხოვენ მასწავლებელ ნიკოლაევის დათხოვნას.

✦ 24 თებერვალს პეტერბურგს გაემგზავრა გუბერნიის თავად-აზნაურთა [illegible] მასრულებელი **თავ. დავით კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე**—7 მარტს პეტერბურგში თავ.-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზე დასასწრებლად.

✦ **დაბა ლანჩხუთში** 4 მარტს გაიმართება **სალიტერატურო გასამართლება.** გაასამართლებენ **ქრისტინეს.**

✦ მიწად მოქმედ. სამინისტრო **ქუთ. სამეურნეო სკოლასთან** სახალხო მასწავლებლებისთვის **საბაღოსნო კურსებს** ჰმართავს ამ ზაფხულს,

✦ 20 ივლისიდან **დ. ბორჯომში,** სახალ. განათლ. სამინისტრო საზოგადო განმანათლებელ და საპედაგოგიო კურსებს ჰმართავს, რომლისთვისაც გადაუდვიათ 3000 მან.

✦ 22 თებერვალს, ქუთაისში თავი მოიკლა რუსეთიდან ახლად დაბრუნებულმა **მიტროფანე ტყემალაძემ.** რუსეთში ყოფნის დროს ცოლი მოჰკვდომია. ეს ამბავი მხოლოდ ჩამოსვლისას გაუგია და ისეთი თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოუხდენია მაზე, რომ თავი მოუკლავს.

(„ცხ.")

✦ **ი. გრიშაშვილის საღამო ქ. ქუთაისს გაიმართება კვირას, 4 მარტს.** მონაწილეობას მიიღებენ: კიტა აბაშიძე წაიკითხავს ლექციას „ლ. ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე" (პლატონ კარატაევი და ლუარსაბ თათქარიძე). წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: ქ-ნი ჩირექოვისა, ნ. ლორთქიფანიძე, ქ. უმბაძე, ვ. რუხაძე, თაგუნა, დ. მესხი, ილ. პონტელი, ჯორჯიკია, ს. აბაშელი, გუცა, გ. ტაბიძე, დ. თომაშვილი, ი. გრიშაშვილი და სილოვანის ლექსს წაიკითხავს მსახიობი ზარდალიშვილი. ოსიკო ბარათაშვილი იმღერებს თარზე და დუდუკზე... ტანისამოსა და გრიმებში წაიკითხავენ სცენებს: ვასო ურუშაძე, (გურული) ვალ. შალიკაშვილი (იმერული) მ. ნემო (ებრაულური) ი. გრიშაშვილი (კინტოური), ნ. გოცირიძე (სომხური) და ა. ყალაბეგიშვილი. (გლეხური) დასასრულ იმღერებენ „ვაი-ვუის" ხმაზე საამდროვო კუპლეტებს...

# ჟურნალისტის დღიური

56.

**კიდევ ახალი კლუბი.**

„ახალმა კლუბმა" თავისი მოქმედების ანგარიში და მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა გამოაქვეყნა. 1911 წლის 21 ივნისიდან 1911 წლის პირველ დეკემბრამდე კლუბს შემოსვლია 69,608 მ. 85 კ. უმთავრესი შემოსავალი მიუცია, როგორც მოსალოდნელი იყო, ლოტოსა და ქაღალდის შემოსავალს. სტუმრებისაგან მიუღია კლუბს 11,487 მ. 81 კ., ქაღალდის თამაშობისაგან 12,663 მ. 60 კ., ლოტოსაგან 11,972 მ. 26 კ., როგორც ხედავთ, სულ ექვსი თვის განმავლობაში, კლუბის კასაში საკმაოდ დიდი ფული დატრიალებულა.

თანახმად წარსულ ნახევარ წლის მოქმედებისა, კლუბის მამასახლისთა საბჭოს შეუმუშავებია ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1912 წლისთვის. ანგარიშია შემოსავალი ძალიან ფრთხილად და მაინც მათის ვარაუდით მიმდინარე წელმა კლუბს უნდა მისცეს შემოსავალი 86,600 მანეთი. ხარჯებიც ამისდაგვარად არის გამოყვანილი რადგანაც შემოსავალი მეტია მოსალოდნელი, საბჭოსაც უფრო თამამად გაუნაწილებია ხარჯები. სხვა და სხვა წვრილმან ხარჯებს ყურადღებას არ მივაქცევთ. აღვნიშნავთ მხოლოდ მუსიკას. მუსიკაზე წარსულ ნახევარ წელს დაუხარჯავთ 8,828 მ. 26 კ. მიმდინარე წლისთვის კი აუღიათ არა ორჯელ მეტი—17 ათასი მანეთი—არამედ 19,610 მ. ე. ი. 2,600 მანეთით მეტი (ციფრებს მთლიანად ვიღებთ). საზოგადოდ მთელი ნავარაუდევი შემოსავალი ისეა განაწილებული, როგორც წინა წერილში ვწერდით. კლუბს მთელი თავისი შემოსავალი კლუბისავე პირდაპირ საჭიროებისთვის გადაუდვია.

როგორც ეტყობა, კლუბის მამასახლისთა საბჭოც იმავ აზრს დასდგომია, რანაირსაც ტიპიური კლუბები ადგანან—რომ კლუბმა მხოლოდ თავის წევრთათვის უნდა იზრუნოს და, რაც კი შემოვა, ისევ მათ გართობას მოახმაროს. ასეთია საზოგადო ტენდენცია ყველა კლუბებისა, და „ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭოც ამ გზას დასდგომია. რამდენად სასურველია ასეთი მიმართულე-

ბის გამეფება „ახალ კლუბში“, ამაზე ეხლა არ ვილაპარაკებთ. ვიტყვით მხოლოდ ერთხელ კიდევ, რომ ეს დიდი ფული ჩვენი საზოგადოების ღარიბ ჯიბიდანაა გამოწურული და ამიტომ უკეთესი იქნება, თუ ნაწილი მაინც მოხმარდება არა პირდაპირ კლუბის საჭიროებებს, არამედ ისეთს საქმეებსაც, რომელთაც საერთო კულტურული მნიშვნელობა აქვთ. კლუბის ხარჯთ-აღრიცხვაში აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი დახმარება ჩვენს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, თუ მამასახლისთა საბჭომ არ შეიტანა ასეთი მუხლები ხარჯთ-აღრიცხვაში, კლუბის წევრთა კრებაზე უნდა აღიძრას ეს საკითხი.

თუმცა ახალ კლუბს პირდაპირ არავითარი დახმარება არ გაუწევია ჩვენს კულტურულ დაწესებულებებისთვის, მაგრამ მაინც არის ხარჯები, რომელნიც ერთგვარ დახმარებად უნდა ჩაითვალოს. დრამატიულ საზოგადოებაზე მოგახსენებთ. უეჭველია ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ თავად-აზნაურობამ თეატრი და ბალი იჯარით გადასცა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, რომელმაც თავის მხრით მიიკედლა „ახალი კლუბი“.

„ახალ კლუბს“ 1911 წლის პირველ დეკემბრამდე, როგორც ანგარიშებიდანა სჩან, შემდეგი ხარჯები გაუწევია ბინასა და თეატრზე:

დრამატიულ საზ. 3000 მ., მასვე ავანსად 1000 მ., მასვე დარბაზისთვის 2,150 მ., დრ. საზ. ზარალის ანაზღაურება 1000 მ., საზაფხულო სადგომი (ბალი და თეატრი) 4000 მ., სულ 11,150 მ.

ამის მიხედვით კლუბს შეუდგენია მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაც. განზრახულია შენობის დასაქირავებლად 12 ათასი მანეთი. იანვარსა, თებერვალსა და მარტის განმავლობაში ამ ჯამიდან დრამატიულ საზოგადოებას უკვე შეუძლიან მიიღოს სამასი თუმანი. ამას გარდა 1912 წლის პირველ სამი თვის განმავლობაში თეატრის დარბაზით სარგებლობისათვის გადადებულია კლუბის მიერ 2,400 მ. მაშასადამე, თუ ავანსად აღებულ ას თუმანს გამოვაკლებთ, 1912 წლის პირველ აპრილამდე დრამატიულ საზოგადოებას მიღებული ექნება 4,400 მ. სულ წინანდელთან ერთად 15,550 მ.

როგორც ხედავთ, დრამატიულ საზოგადოებას საკმაოდ დიდი ფული მიუღია კლუბისაგან. ეს პირდაპირი დახმარება არ არის, მაგრამ ჩვენი ღარიბი თეატრისთვის მაინც დიდ დახმარებად უნდა ჩაითვალოს.

**შინაური.**

P. S. ერთი პატარა შენიშვნაც. კლუბის ანგარიშიდანა სჩანს, რომ ხაზინადარს ხელში სჰქერია 2,397 მ. 31 კ. ანგარიშებში ასეთი მუხლი არ უნდა იყოს. კლუბსა აქვს მუხლები: სახელდახელო ანგარიში (ბანკში) და კასსა. ზემოხსენებული ჯამიც ან სახელდახელო ანგარისში უნდა იყოს (ბანკში), ან კასაში. კერძოდ კი ხაზინადარს ერთი კაპეიკიც არ უნდა ჰქონდეს **შ.**

## რამოდენიმე სამართლიანი სიტყვა

იმ ბრალდების გამო, ვითომც ქართველებს რუსული ყველაფერი სძულდეთ.

„ცერკოვნია ვედომოსტის“ მე-52 ნომერში წავიკითხე არქიმანდრიტ ზინოვის მიერ, ეპისკოპოსად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვა და საშინლად განვცვიფრდი. იგი ამბობს, ისეთ ქვეყანაში მომიხდა სამსახური, რომელიც ამბოხებითაა მოცული, რომელიც ყოველივე რუსულისადმი მძულვარებითაა გამსჭვალული, და ჩემი სიცოცხლეც განსაცდელში იყოო.

„საქართველოში ამბოხება იყოო“. განა რუსეთში სიწყნარე სუფევდა! განა პეტერბურგიდან არ მოსკდა „გამანთავისუფლებელ მოძრაობის“ ტალღები?

„საქართველო ყოველივე რუსულისადმი მძულვარებითაა მოცულიო.“

ეს სიცრუეა, ცილისწამებაა!

რას უწოდებს იგი ყოველივე რუსულისადმი მძულვარებას? თუ მას მძულვარებად ის მიაჩნია, რომ ჩვენ, ქართველებს, გვიყვარს ჩვენი ენა, გვსურს მშობლიურ ენაზე ვადიდოთ ღმერთი, რომ ჩვენცა გვსურს სამშობლოში სამსახური, რომ ვინც ჩვენ ეროვნულ გრძნობას შეურაცყოფას აყენებს ვეუბნებით: „ეგ სიცუდეა“,—მაშინ ჩვენ მართლაც ასეთები ვყოფილვართ.

მაგრამ, ჩვენი ცხოვრების ამ ბუნებრივ მოვლენის აღსანიშნავად, რომელიც სრულებით არ ეწინააღმდეგება არც საეკლესიო და არც სამოქალაქო კანონების აზრს, და რომელიც სრულიადაც არ გულისხმობს რუსებისადმი კეთილ განწყობილების უარისყოფას, ვფიქრობ, სიტყვა „მძულვარება“ სავსებით შეუფერებელია. ათასჯერ გავიმეორებ, რომ ქართველებს რუსები არა სძულთ. ეს იმისთანა ხალხის მოგონილი ჭორია, რომელთათვისაც განაპირა ქვეყნებში სამსახური მთავრობის ყურადღების მიქცევისა და რუსეთში კარგი ადგილების მიღების საშუალებაა.

დაე, ჩვენში სამსახურში მყოფმა რუსებმა სინდისის ქვეშ სთქვან, განა ქართველები, რომელთაც რუსული ენა იციან, არ ლაპარაკობენ რუსულად ოჯახშიაც, კრებებზედაც, ქალაქებშიაც, სოფლებშიაც და მაშინაც კი, როდესაც მათ შორის ერთი რუსი არ ურევია; განა ქართველი რუსებთან და რუსები ქართველებთან არ დაიარებიან სატრაპეზოდ; განა ქართველები რუსულ ჟურნალებსა, გაზეთებსა და წიგნებს არ კითხულობენ; განა ქართველი ეპისკოპოსები და მღვდლები ქართულ ეკლესიებში რამოდენიმე ასამაღლებელს სლავიანურ ენაზე არ წარმოსთქვამენ ხოლმე, თუმცა ამას მათ არავინ ავალებს? და განა რაიმე ამის მსგავსი ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ქართველებს რუსები სძულებოდათ?

მაშ, რაღას ითხოვენ ჩვენგან რუსის შოვინისტები? იქნებ იმას რომ ჩვენ სრულიად არ ვილაპარაკოთ სამშობლო ენაზე? ეს არასოდეს არ მოხდება!

და არც საჭიროა იგი რუსეთის სახელმწიფოს სიძლიერისა და დიდებისათვის.

ყველა, განსაკუთრებით ეკლესიის მსახური, უნდა გაურბოდეს მას, რაც კი ვერას შეჰქმნის, არსებულს დაარღვევს, ქართველების რუსებთან ერთობას ხელს კი არ შეუწყობს, პირიქით, ერთმანეთს დააშორებს. ჩვენ, ეკლესიის მსახურნი, მართლოდენ ქრისტეს მცნების მიხედვით უნდა ვაფასებდეთ კეთილ განწყობილებას რუსებსა და ქართველებს შორის, და [illegible] უდევია არა ქრისტიანული საქმე, ქართულ რუსულისა და ხორცის რუსულ სულსა და სხეულში გათქვეფა, და მით ერთ მორწმუნე, ძმათა შორის კავშირს სწყვეტს. ჩვენ, რუსები და ქართველები, „ქრისტეს მიერ ძმანი“ უნდა ვიყვნეთ, მხოლოდ ჩვენის სულიერი განწყობილებით, სიყვარულით, კეთილი ცხოვრებით და ზნეობრივის თვისებებით, მაგრამ როგორც რუსების ეროვნული ფიზიონომია, ისე ქართველების ნაციონალური სახე დაცულ უნდა იქმნეს, რასაკვირველია კარგი თვისებებით.

ეს „ქრისტეს მიერ ერთობა“ რუსებსა და ქართველებს შორის სრულიადაც არ მოითხოვს ქართველი ერის ეროვნული თავისებურობისა დამცირებას, თუ ამოფხვრას, და არც ქართველთა ეროვნულ ნიშანდობლივ თვისებათა განვითარების და აყვავების შეფერხებას. ის კი, ვინც უარჰყოფს ქართველების ბუნებრივ, კანონიერ, მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, რომელიც ეხება ეკლესიასა, სკოლასა და, საერთოდ, კულტურას, არა ქრისტიანულად იქცევა და ძმათა შორის მძულვარებასა სთესს.

დაე, მოისპოს ჩვენში მტრობა და შუღლი!

სიყვარულისადმი მოუწოდებ ყველას! ძიწიურ და წარმავალ გულისთქმათა და ინტერესებისათვის ნუ გავწირავთ მარადისობას, ნუ დავანამცეცებთ ქრისტეს სხეულს.

დაე ყველა ერმა შეირჩინოს ის, რაც რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობასა და სიძლიერეს ხელს არ უშლის.

ეს შენიშვნა ცოტა სხვა სახით და ძველ ივერიის ეკლესიის ცხოვრებიდან ზოგიერთ საბუთების აღნუსხვით, რომელიც ქართველების უკმაყოფილების გამომწვევია, „ცერკოვნი ვედომოსტის“ რედაქციას გაუგზავნე, მაგრამ არ დასტამბეს.

**ეპისკოპოსი დავითი.**

(„ზაკ. რეჩ.“)

## მცირე შენიშვნა.

(რაჭის მაზრა).

დღე ისე ძვირად არ გაივლის, რომელიმე გაზეთში არ წავიკითხო საჩივარს რომ სახალხო სკოლებში ქართული ენის, ქართული ისტორიის სწავლება ძლიერ ცუდად არის დაყენებულიო. ამ სტრიქონების დამწერსაც ხშირად უნახავს მეოთხე-მეხუთე განყოფილების მოწაფე, რომელსაც გაზეპირებული ჰქონდა რიურიკების და სვიატოსლავების ისტორია და იმავე დროს თავის მშობელ ქვეყანის ისტორიიდან არა სცოდნია რა. ამაში ვის უფრო მეტი ბრალი უძევს? რასაკვირველია მასწავლებელს, რომელმაც ან სულ არ იცის ქართული ლიტერატურა და ისტორია, ან და მეტ ბარგად სთვლის, უმეცრებით. ნუ თუ ქართველმა ბავშვებმა არ უნდა იცოდნენ ვინ იყო ფარნაოზი, მირიანი, წმიდა ნინო და სხვანი... ეროვნულ-ისტორიულ გმირებისა მარტოოდენ გახსენებაც კი სულით უნდა აღფრთოვანებდეს და აკეთილშობილებდეს ნორჩ მოწაფეებს. მაგრამ, როგორ გააკეთილშობილებენ ბავშვებს იმისთანა მასწავლებლები და სკოლა, სადაც წმინდა ნინოს დღეობასაც კი სკოლაში არ აუქმებენ? ნათქვამის დასამოწმებლად მოვიყვან ფაქტს, რომელსაც ამბროლაურის ორ კლასსიან სასწავლებელის (რაჭის მაზრა) ზედამხედველად არის ბ. ლ. ბოკერია, რომელსაც გაუთავებია ხონის სასტატო სემინარია. განათლებულ ქვეყნებში სასიქადულო ისტორიული პირების და მამა-პაპის ხსენების პატივის ცემა უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი, მაგრამ ამბროლაურელი პესტალოცები ამას არ დაგვიდევენ! **პ. ჯოხაძე.**

---

## წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:

ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**

---

## თეთრი ღიმილი

**უსტარი სიყვარულისა**

მე შენ არ გიცნობდი... არ გიცნობ და არც არასოდეს გაგიცნობ...

არც ის ვიცი, რომელ ზღვიდან ოოიელია ქაოია ოოგიტაცა,

არც ის ვიცი, ცის გუმბათზე ვინ დასწერა ვარსკვლავებით შენი სახელი,

არც ის მინდა ვიცოდე, თუ შენის სილამაზით დამთვრალმა იმ რად გადმოჰყარა ვერცხლის ცრემლები?

არ ვიცი რა იფარება შენს ღიმილში სიცოცხლე თუ სიკვდილი?..

არც ის ვიცი ეგ ალვის ხის რტოთითები ვინ გამოთალა დიანას ისრებივით.

არ ვიცი...

ჰო და ამიტომაც შენ ნება არ გაქვს შემიყვარო, შენ ნება არ გაქვს დამივიწყო...

წმიდა ხარ, წმინდა იყავ და წმინდათვე დარჩები.

ვფიცავ ოდესღაც ჩემსა განთქმულ ლექსსწყობის ღმერთებს, მე მზეს არც კი ვაპატიებ, რომ შენ წაბლისფერ თმებში პირსა ჰბანს თავის სხივებს.

ვფიცავ ზენაარსს, მე თვით ბულბულს არც კი ვაპატიებ, შენგან მოპარულ ხმებს ისევ შენ რომ გიმღერს.

როგორ გაბედა და ლერწამმა შენს ატყორცნილ ტანს შურით შეხედა? არა, როგორ გაბედა, ჰა? როგორ გაბედა?

წუხელ ნიავმა რომ დაგქროლა და გამჭვირვალე ნისლის კაბა, სილის ტკეცით, გაგირღვია — ვითომ რაო? რა მინდაო?.. ჰმმ!!! როგორ ვიძიო შური? მითხარ გეთაყვა, როგორ ვიძიო შური?..

არა, როგორ გაბედა და მთვარის მოთეთრო შუქმა, შენს თეთრ ღიმილს შურით შეხედა?..

ა ის პეპელა, ეხლა რომ შენს ხასხასა ლაწვებს ჩააკვდა, და შენის სურნელოვანის ტუჩებით თავის ტუჩები ჩაიტკბანურა, როგორ გგონია—შევარჩენ? მხამად შევარგებ, გესმის, სულო, მხამად შევარგებ!..

გაფიცებ ზესკნელს, ამ დიდებულ მუზათა საფლავს,

გაფიცებ ქვესკნელს, სალოცავად ხელებ აპყრობილს: — მარმარილოდ გაშლილი ცა, რომ ქაღალდად გადიქცეს, ზღვა—მელნად, და ან კიდევ მზის თვითეული სხივი—კალმის ტარად, მაშინაც კი ვერ ავსწერ შენი ღიმილის იდუმალებას...

წმინდა ხარ, წმინდა იყავ და წმინდათვე დარჩები!..

**ი. გრიშაშვილი.**

---

## ქართლის ვითარება

ჩემ წინა წერილში მოხსენებული მქონდა, რომ ადგილობრივ **წვრილი კრედიტის ამხანაგობის წევრთა წლიური კრება** უნდა მოხდეს წლიურ ანგარიშების განსახილველად და სხვა კითხვების გადასაწყვეტად. კვირას 12 თებერვალს წვრილი კრედიტის გამგეობის სადგომში შეიკრიბნენ ამხანაგობის წევრები რიცხვით 80. საათის 11-ზე კრება გაიხსნა. თავმჯდომარეედ არჩეულ იქმნა ბლაღ. მღვდ. სეით გამრეკელი. ამხანაგობის გამგეობამ მოახსენა კრებას წლიური ანგარიში საიდანაც აღმოჩნდა: ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება შარშან მაისიდან. სახელმწიფო ბანკისა ჰმართებს ამხანაგობას—3,000 მან. კერძო პირისა—61 მან. 71 კაპ. სულ—3061 მან. 71 კაპ. ამ ფულიდან გაცემულია წევრებზე—3050 მან. ხაზინაში შეტანილია—80 მან. ნაღდი ფული აქვთ—35 მ. 11 კ. სულ—3165 მ. 11 კ. გაცემულ ფულს შემოუტანია სარგებელი—297 მ. 5 კ. ამ სარგებლიდან ამხანაგობას გაუსტუმრებია სხვა და სხვა ხარჯები—სახელდობრ: სახლის ქირა, ბანკიდან აღებული ფულის სარგებელი, კანცელიარული—შეუძენია ავეჯი, დავთრები და სხვ. სულ 193 მ. 65 კ. წმინდა მოგება დარჩენია 103 მ. 40 კ.

რა დანიშნულება მიეცა ამ ფულს? კარგა ხნის თათბირის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა: ამ თანხის 2/3-დი ე. ი. 20 მან. 50 კ. წესდების მიხედვით გადაიდოს სათადარიგო თანხის [illegible] თანხის დასაფუძნებლად გადაიდოს—41 მან. 20 კ. და დანარჩენი 41 მან. 70 კაპ.—სავაჭრო მიზნისთვის და დაადგინეს: შემდეგშიაც სისტემატიურად ემატოს ამ თანხას, ვიდრე შეიძლებოდეს ამ თანხით რომელიმე სავაჭრო დაწესებულების დაარსება.

მეორე საკითხი აღიძრა გამგეობის წევრების დაჯილდოვებაზე—ამაზე ბევრი თათბირი აღარ გაგრძელდა ამიტომ, რომ გამგეობის ყველა წევრებმა უარი განაცხადეს რაიმე გასამრჯელოს აღებაზე. კრებამ ერთხმად მადლობა უძღვნა მათ.

შემდეგ საკითხი იყო: ამორჩევა გამგეობის და საბჭოს იმ წევრებისა, რომელნიც წესდების მიხედვით უნდა იცვლებოდნენ ყოველ წლივ კენჭის ყრით ერთმანეთში. გამგეობის წევრს კ. თულაშვილს ხვდა გასვლის კენჭი, მაგრამ ხალხმა ერთხმად სთხოვა დარჩენილიყო. საბჭოს წევრებმაც იყარეს კენჭი. გასვლის კენჭი ხვდა მ. პსიტიძეს, რომლის მაგივრადაც აირჩიეს მ. ლოლაძე. ამ ჟამად გამგეობის წევრებად არიან: თავმჯდომარე—კ. თულაშვილი, ხაზინადარი—გ. სარაული და მესამე წევრი — რ. ბიბილაშვილი. კანდიდატები: ლ. ჩიკოიძე და დ. ბიბილაშვილი. საბჭოს თავმჯდომარე—მასწ. ვ. მიქელაძე—ვ. ბათიაშვილი და მ. ლოლაძე. ხოლო კანდიდატი მ. სამხარაძე.

რადგანაც ამ ჟამად ამხანაგობაში 150 წევრია და საერთო ყრილობის მოწვევის დროს მათი შეკრება ერთობ ძნელი და მოუხერხებელია, კრებამ ამოირჩია 30 კაცი რწმუნებულები, რომელთაც ევალებათ შემდეგ შეიკრიბნენ საამხანაგო საქმეების გადასაწყვეტად, უკეთუ მათ მოიწვევენ ან საბჭო ან გამგეობა. არ შემიძლია არ დაუმატო ამ გარემოებას ჩემი კერძო მოსაზრება: როცა საერთო ამხანაგობის კრებას ესწრებიან ყველა წევრები, ისინი საკმაოდ ეცნობიან ამხანაგობაში არსებულ წესებს, ისმენენ წლიურ ანგარიშებს, საკუთარ აზრს გამოსთქვამენ ამა თუ იმ საგანზე რაც ჩემის აზრით მომავლისთვის ამზადებს და გონებრივადაც წინ სწევს. ამ შემთხვევაში საზოგადო ყრილობა, ჭეშმარიტად ბატონ-პატრონია თავისი დაწესებულებისა. ადვილი შესაძლებელია რწმუნებულთა შორის ერიოს ისეთი პირი, რომელიც მოემზადებოდა, განვითარდებოდა, სავსებით შეიგნებდა ამ ახალ დაწესებულების ვითარებას და შემდეგში თვითონ გლეხებივე გაუძღვებოდნენ ამ საქმეს.

შემდეგ ამხანაგობამ დაამტკიცა მიმდინარე 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გადაიდო სულ 80 მ.—სახლის ქირა—20 მ. და დანარჩენი 60 მ. სხვა და სხვა ხარჯად ე. ი. საგზაო, საკანცელარიო საფოსტო და სხვ.

ბოლოს კრებამ განიხილა რამდენიმე წვრიმალი საკითხი, მოაწერა ხელი განაჩენს და საათის 4-ზე დაიშალა. **ქსნისპირელი.**

## ხმა მანგლისიდან

რამდენიც დრო გადის, იმდენი გლეხის მდგომარეობა უკან-უკან მიდის. გლეხი კეთილ-დღეობას საიდან უნდა ეღირსოს, როდესაც არა აქვს საკმაო მიწა, არ არსებობს მისთვის სოფელში არც-ერთი გონების განმავითარებელი დაწესებულება, ისევ უფსკრული, სიბნელე. ბატონი, მოურავი, ბანკი, ჩაფარი, მღვდელი, გზა, ბეგარა, ხიდი, წყალი და სხვა... სულ გლეხია.

აქამომდე მოიმედე გლეხს, რომ დღეს თუ ხვალ სინათლეს დავინახავთ, გვეშველება, წელში გავიშლებითო, უარესი მოსდის.

სოფ. ენაგეთის ზევით მდ. ალგეთის სათავემდის, გაღმა-გამოღმა, და წყნეთიდან დაწყებული, ვერის ხეობა მანგლისამდე და მის გარშემო სოფლები სულ საბატონო და სხვა და სხვა ბანკისაა. ერთს მებატონე ავიწროებს, მეორეს ბანკი, მესამეს მოურავი, მეოთხეს ახალი მოსახლენი და ასე ამგვარად არიან ერთს უბედურობაში.

**ს. პატარა ნამტვრევიანი** (13 კომლია) იყრება და მიდის აღბულაღისკენ სადაც იჯარით აიღეს მამული, აქ მემამულემ ფასს ერთი ორად აუწია 600 მ. 1200 მ. გახადა წელიწადში, სად შეიძლებდა 13 კომლი ამ იჯარის გადახდას. (ეს მამული თარხნიშვილისეულია ხოლო ეხლა მისს სიძეს (გერმანელია) დარჩენია.

[illegible] ლიწადი არ არის, რაც ეს მამული საგლეხო ბანკს დარჩა ბარათაშვილებისაგან. ბანკის მოურავი ურჩევს გლეხებს შეისყიდონ მამული და მას შუამდგომლობაში თვითეულმა კომლმა ოროლ-სამსამი დესეტინა მიწა მისცენ. (დესეტინა 40 მ დაფასებული) რა საკვირველია მოურავს ის აზრი არა აქვს, რომ გლეხი მესაკუთრე გახდეს თუ არ შეისყიდეს, თურმე, აყარას უქადის. გლეხები ჯერ მაგარზე იდგნენ, ყიდვას ვერ შევძლებთო. როგორც გავიგეთ, ამ დღეებში გლეხები თვითონვე წასულან საგლეხო ბანკში საქმის გასაგებად უშუაკაცოდ.

ვერის ხეობაზე მდებარე სოფლები **წყნულეთი, დრე, წვერი და პეტერბურგი** საბანკო მამულზეა გაშენებული. ეს მამული ეკუთვნის სათავად-აზნაურო ბანკს. ამ ცამეტთოთხმეტ წლის წინად აქაურ გლეხებს შეუსყიდნიათ ხსენებული მამული ბანკისაგან, პირველად შეუტანიათ 1500 მანეთი, დანარჩენი წლიური გადასახადი ფული ვადაზე ვერ შეუტანიათ და არც სცოდნიათ მამულების საჯაროდ გაყიდვის დრო, რის გამო მამული ისევ ბანკს დარჩენია. ამას ხალხისათვის ძლიერ გაუფუჭებია გული ისე, რომ მამულის ყიდვაზე თუ გაიგონეთ რომ, ას ვერსზე აღარ მოგეკარებათ: „ჯერ ისიც არ მოგვინელებიაო“.

ახლო-მახლო სოფლელებიც კი მიგითითებენ ვერის ხეობლებზე: „ბანკის ვალი არ გვინდა, იქ უფრო ძნელია შეტანა, ფულიც დაგვეკარგება და მიწაცაო. ეგ საგლეხო ბანკიც ჩვენი ხაფანგი იქნებაო“.

„ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო“ ისე მოსდით ბეჩავთ.

ნაჭერი ზემო ხსენებულ ბანკის მამულისა, ზომით 11 დესეტინა, მდებარეობს პეტერბურგის თავზე **პრიუტში** გზატკეცილის მარცხენა მხარეს. ბანკს განუზრახავს ამ ადგილის დაჭრა და ნაჭერ-ნაჭერ გაყიდვა 200 საჟ. ვიდრე 600 საჟ. საგარაკოდ. თვით პრიუტი საგარაკო ადგილია და მუდამ ზაფხულს მრავალი მოაგარაკენი მოდიან ტფილისიდან.

კარგი იქნებოდა, რომ ის ადგილი ქართველებს შეესყიდნათ, თორემ ჯერ რუსები იქმნებოდნენ მარცხნივ—ქართველების პატარა ახალშენი.

ტფილისში არსებობს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო კომისია, ჰყავთ სამაზრო „ინსტრუქტორებიც“, რომელნიც მოვალენი არიან ხალხში კულტურა შეიტანონ. რასაკვირველია ასეთი ინსტრუქტორი ჰყავს ჩვენს მაზრასაც, მაგრამ, როგორც მე ჩინნთში არ დავიარები ისე ის აქეთ არ დაიარება და მგონია არც კი იცის, რომელი საბანკო სოფელი სად-მდებარეობს ან რა ტომის ხალხი მოსახლეობს.

ხალხს ესაჭიროება კაცი, ახსნა იმისი, რომ საჭიროა გლეხმა შეისყიდოს მამული, გახდეს მესაკუთრე. თანაშემწენი, მეტადრე უვიცნი, ვერას დაეხმარებიან ინსტრუქტორს, რადგანაც ჩლუნგი იარაღია და მარტო ფულის აკრების და ინსტრუქტორის ბრძანების ასრულების მეტს ვერას გააკეთებს ხალხში. მართლაც და ასეც ხდება ყველგან.

იმას მოგახსენებდით, პრიუტში 11 დესეტინა მამული უნდა დაიყოს საგარაკოდ. ამის გამო მყიდველების ხელის მოწერა უნდა მომხდარიყო. ბ. ინსტრუქტორმა თანაშემწეს შეადგენინა სია მყიდველთა და თურმე ნუ იტყვით, ვინც კი განაცხადა სურვილი მამულის შეძენისა ყველა მილეთის ხალხი შეუტანიათ სიაში.

ბ. ინსტრუქტორმა ეს სია განცხადებებით წარუდგინა კომისიას: აი, საქმეს ვაკეთებ ქართველებს ადგილი შევაძენინე და სხვა... „ინსტრუქტორმა“ ვითომ პოლიტიკანობა იხმარა. რა პოლიტიკანობაა აქ საჭირო, როდესაც ქართველები საბანკო მამულებზე მოსახლეობენ, საკუთნოც მათი იყო, ვინაიდან ისინი დღევანდლამდე საბანკო მამულის ხიზნებად ითვლებიან.

დროა პოლიტიკანობას ყველამ თავი დაანებოს.

დარწმუნებული ვარ, რომ გაეგებინებინათ ვერის ხეობელებისთვის საბანკო მამულის გაყიდვა, ამ ადგილის ყიდვას მრავალი მოინდომებდა, მაგრამ გლეხისთვის არას დროს არ გათენებულა, იმ ერთი ანდაზისა არ [illegible]

**კოტე ვეფხვი.**

## უცხოეთი

**ინგლისის გაფიცვა.** „ფოსიშე ცაიტუნგი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: ხან-მოკლე, 8—10 დღის გაფიცვა საზარალოა და უსიამოვნო დამქირავებელთათვისაც და მუშებისათვისაც. მუშები ისე აღელვებულნი არიან, ისე ძალიან შეეჩვიენ გაფიცვის აზრსა, რომ თუნდაც ყველა მოთხოვნილება აუსრულონ, მაინც გაიფიცებიან, რასაკვირველია, არა დიდის ხნით. ხან-მოკლე გაფიცვა დამქირავებლებს ერთ ხარგებლობას მოუტანს, იგი იძულებულ ჰყოფს წვრილ მრეწველებს, მაღაროების პატრონების კავშირს მიემხრონ. ამას გარდა, არც ნახშირის ნაკლებლობაა. გაფიცვის მოლოდინში ნახშირი საკმაო შეიძინეს. ამიტომ მაღაროების პატრონებს ჰსურთ გაფიცვა და არც ეშინიანთ მისი, რადგან მათი სახელიც არ დაეცემა და მრეწველობასაც არ არ შემცირებენ. მაგრამ ყველაფერი ესე მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ გაფიცვა ხანმოკლე იქნება. თუ გაფიცვა გაგრძელდა კი, მაღაროების პატრონები ძალიან იზარალებენ.

## გრიგოლ რასპუტინი

გრიგოლ რასპუტინი ქალაქ ტიუმენიდან 80 ვერსით დაშორებულ სოფელ პოკროვსკში მცხოვრები გლეხი ყოფილა. წინად თურმე „ვიტულს“ და „გრიშკა ვორს“ ეძახდნენ, რადგანაც ჩვეულებად ჰქონია შეშის მოპარვა. გრიგოლი ლოთიც ყოფილა; ხშირად თივას წაიღებდა ქალაქში გასასყიდად და შინ ხელცარიელი ბრუნდებოდა, ხშირად, საქეიფოდ ცხენებსაც ჰყიდდა.

30 წლის გრიგოლი სულ სხვა ცხოვრებას დასდგომია: სამუშაოს გათავების შემდეგ, აიღებდა ჯოხს ხელში და მონასტერში მიდიოდა; არც წირვას და არც ლოცვას იგი არ აკლდებოდა. გრიგოლი წინასწარმეტყველობასაც ჩემულობდა: გლეხები ლანძღავდნენ რა-

სპუტინს ასეთი საქციელისათვის, მაგრამ ქალები კი თან და თან რწმუნდებოდნენ მის „წმინდანობაში“ და ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე. ამასობაში გავრცელდა ხმა გრიგოლ რასპუტინის შესახებ და სხვა და სხვა მხრიდან იწყო ხალხმა დენა.

გრიგოლი ტყეში ჯვრებსა სთლიდა და დიდხანს ლოცულობდა ხან მარტო და ხან კი „დებთან“ ერთად. ხშირად უნახავთ, რომ რასპუტინი ლოცვის შემდეგ „დებს“ ჰკოცნიდა.

პირველად რასპუტინს მხოლოდ ექვსი „და“ ჰყოლია. სანამ რასპუტინთან მივიდოდნენ, ეს „დები“ სიცოცხლით სავსე და ჯანსაღი ყოფილან, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ფერსა ჰკირგავდნენ და რამოდენიმე ქლექითაც გარდაცვლილა. რა იყო ამის მიზეზი, ვერ გაეგოთ. გლეხები კი აგინებდნენ რასპუტინს: „მისი ბრალია ამ ქალიშვილების უდროოდ სიკვდილიო“.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ კი იგი ფულის ხარჯვას არ ერიდებოდა და ყველას გულს საჩუქრით ინადირებდა. თვის სოფელში რასპუტინმა ახალი სახლი ააშენა და მდიდრულად მოაწყო. საზაფხულოდ მას თურმე მრავალი „წარჩინებული“ სწვევია.

ქალები არიან რასპუტინის განუყრელი თანამგზავრნი და იგი მეტად თავისუფლად იქცევა. 1906 წელს, როდესაც სტოლიპინის მოკვლა სცადეს, გრიგოლი დეპეშით დაიბარეს პეტერბურგში. პავლოვის სიკვდილის შემდეგაც რასპუტინი დეპეშით გაიწვიეს პეტერბურგში და ყოველთვის იგი ახალი საჩუქრებით და ფულებით ბრუნდებოდა.

ბევრს უკვირდა გრიგოლის ასეთი გამდიდრება. ხშირად შეჰკითხებიან მას ამის შესახებ: „იკითხეთ სახარება და დანარჩენი ყოველივე მოგეცემათო“.

გლეხებში ხმა დადის, გრიგოლ რასპუტინი თავის „დებთან“ ერთად აბანოში დაიარება, ტანს აზელინებს, შემდეგ რაღაც გიჟურ ცეკვას იწყებენ და ბოლოს „ცოდვასაც“ სჩადიანო.

დღეს გრიგოლ რასპუტინზე მთელი რუსეთი ლაპარაკობს.

## განაჩენი მაცოხის საქმის შესახებ

(პ. ა. დეპეშა).

**პეტროკოვი.** დამაზი მაცოხს სასამართლომ 12 წლის კატორღა მიუსაჯა, ელენა მაცოხს ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ორის წლით ციხე, სტარჩევსკის და ოლესინსკის უფლებათ ჩამორთმევა და გამასწორებელი რაზმში გაგზავნა— პირველს 5 წლით, მეორეს $2^1/_2$ წ., პიანკოს 4 თვის გამასწორებელი რაზმში, ვლასიევეიჩს—წლის ციხე, ციგანოვსკის შვიდი დღის. პეტკევიჩი გაამართლეს.

## მოწერილი ამბები

**ს. დაბლა-საქარა.** ნეტავი თუ რომელიმე სოფელი იქნება ასე ყველასაგან მივიწყებული, როგორც დ. საქარა. იმის და მიუხედავად, რომ ეს სოფელი დ. ყვირილას სამი ვერსით არის დაშორებული, არაფერი სწავლა-განათლების და შეგნების არა ემჩნევარა. თუ პატარა წამოწვიმა, აქაურ გზებზე იქ გავლა ყოვლად შეუძლებელია, არა თუ ურმით ან ცხენით, არამედ ფეხითაც. ნუ თუ აქაურ მცხოვრებლებს, რიცხვით ოთხასამდე, გზების შეკეთება არ შეუძლიანთ? როგორ არ შეუძლიათ, მაგრამ საქმეს თაოსნობა უნდა და თავისი სარგებლობით შეგნება. ხშირად გამიგონია: „მოცლილი კი არა ვარ, რომ ვიღაცა გამვლელ მგზავრებისთვის გზები ვაკეთო; მე როცა დამჭირდება, ავად თუ კარგად გავივლი, სხვამ რაც უნდა ქნასო.

როგორც იქნა ველირსეთ ადგილობრივ **სამრევლო სკოლის** შეკეთებას.

ამ ვეებერთელა სოფელში ერთი სამრევლო სკოლა არსებობს. თუმცა მოთხოვნილება დიდი ხანია ორკლასიან სასწავლებელისა, მაგრამ ასე გასინჯეთ არსებულ სკოლასაც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. აქნობამდე ამ სკოლაში ერთი მასწავლებელი იყო, რომელიც დიდი გაჭირვებით მეცადინეობდა ხშირად 70—80 ბავშვებთან. 1911 წელს ოქტომბრიდან მოემატა მეორე მასწავლებელი—ქალი. **შ. მ—ძე.**

## ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

**მუკდენი.** მანჯურიაში მოსული რევოლუციონერთა საექსპედიციო რაზმი ნანკინის მთავრობას არ დაემორჩილა და ყაჩაღად გავარდა კვანტუნის ახლო. მუკდენიდან მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ბატალიონი საპოლიციო ჯარისა ყაჩაღებს შეუერთდა. გენერალ-გუბერნატორმა რაზმი გაჰგზავნა მძარცველთა გასაწყვეტად.

პეკინში მომხდარ ამბის გამო, იუანშიკაიმ ჯაოერსუნს უბრძანა, ჯარი გაანთავისუფლე საპოლიციო საქმის ასრულებისაგანაო, საეჭვო პირებს იარაღი აჰყარე, ჯარი ქალაქ გარედ დააბანაკე, ქალაქიდან ჯერ-ჯერობით არავინ გაუშვა და მისი დაცვა პოლიციას ჩააბარეო. ამბობენ, ამასთანავე ბრძანება მიუვიდა ჰირინისა და ციციკარის გუბერნატორებს, ჯაოერსუნი სამსახურიდან გადადგომას თხოულობსო.

**კულჯა.** რევოლუციონერთა ჯარის უფროსს გენერალ იანტულიანს დიდის ამბით დახვდნენ. განზრახვა აქვთ თათბირი გაჰმართონ იმის თაობაზე, თუ რანაირად უშველონ ვაჭრობის განახლებას.

**პეკინი.** პეკინ-უსურიისა და პეკინ-მუკდენის რკინის გზებზე ჯარი გაჰგზავნეს ყაჩაღ-ჯარისკაცების შესაპყრობად.

საზაფხულო სასახლეში მდგარი ჯარი მოითხოვს პეკინს გადაყვანას და ჰპირდება, ქალაქში მშვიდობიანობას დავიცავთო. ჩრდილოეთის რესპუბლიკელთა ჯარის უფროსი ლანთიანვეი პეკინს მოვიდა. ამბობენ, იუანშიკაი ახალ ჯარიდან საპრეზიდენტო გვარდიას შეადგენსო.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

**რომი.** პრესა დიდის ხალისით ლაპარაკობს იმ თავისუფალ მოქმედებისა გამო, რომელიც სახელმწიფოებმა მიანიჭეს იტალიას, გარდა ადრიატიკისა და იონიის ზღვათა ნაპირებისა. „ჯიორნალე და იტალია“ დასძენს, ეტყობა, იტალიის ფლოტს ოსმალეთზე იერიშის მიტანა სწადიანო. გაზეთი ამბობს, ავიყოთა ამდენი (ცდა, საქმეს შეუდგეთო. „კორიერ და იტალიისათვის“ მცოდნე პირს უთქვამს, დროა ფლოტს ვუბრძანოთ, საქმეს შეუდგესო.

გენერალმა რეისოლმა მერგების ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები გადმოგვცა, ოსმალთა ბანაკში 3000 არაბი და გაწვრთნილი ჯარისკაცი იყო, იტალიელების რაზმს კი შეადგენდა 4 ბატალიონი და 3 ბატარეა. იტალიელებმა ახლო მოუშვეს მტერი. ზარბაზანმა საშინელება დაატრიალა. ტყვეები ამბობენ, ოსმალებმა 400 კაცი დაჰკარგესო.

„სტეფანის“ სტამბოლიდან ატყობინებენ: ტყუილია, ვითომც ოსმალებს მერგები აეღოთ. პირიქით, უკანასკნელ ბრძოლაში ოსმალ-არაბნი ძლიერ დამარცხდნენო.

**მალტა.** ინგლისის კრეისერს „ჰამპშეირს“ ბრძანება მოუვიდა, კრიტესაკენ გასცურეო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

25 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**სამხრეთის პოლუსი.**

**ქრისტიანია.** „მორგენბლადეტი“ სწერს, გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რო ამუნდსენის ექსპედიცია გაიმარჯვა. ნანსენს სჯერა, რომ ამუნდსენმა პოლუსს მიაღწიაო.

გაზეთებს ამუნდსენმა გობარტიდან (თასმანია) 23 თებერვალს: დეპეშა გაუგზავნა: 1—4 თებერვალს სამხრეთის პოლუსზე ვიყავიო. გემზე ყველანი ჯანმრთელად ყოფილან.

**გობბარტოუენი.** ამუნდსენმა განაცხადა, სკოტის შესახებ დეპეშით არაფერი მიცნობებიაო.

ექსპედიციის მონაწილენი ნაპირზე რომ გადმოვიდნენ, ამუნდსენმა სთქვა, მადლიერი ვარ ექსპედიციისაო.

**ქრისტიანია.** მეფემ, მთავრობამ და საგეოგრაფიო საზოგადოებამ ამუნდსენს მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს. ქალაქი დროშებითაა მორთული.

**გერმანიის რეიჰსტაგის თავმჯდომარე.**

**ბერლინი.** რეიჰსტაგის თავმჯდომარედ აირჩიეს კემპფი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად—პააშე, მეორედ—თავისუფლად მოაზრედოვე.

**ქალაქის ჩივილი.**

**ლუბლიანა.** ქალაქის თავმა და მისმა თანაშემწემ შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვეს, დაგვიფარეთ ჩვენ და სლოვიანთა პარტია, ქალაქის საბჭოში მთავრობის დევნისაგანაო. მინისტრმა უპასუხა, მთავრობა თქვენ გბრალებთ პანსლავიზმს, რევოლუციონობას და ამიტომ გებრძვითო.

**გაფიცვები.**

**ლანსი.** ჩრდილოეთისა და პა-დეკალეს დეპარტამენტის მთა-მადნების მუშებმა გადასწყვიტეს 27 თებერვალს გაფიცვა გამოაცხადონ, რათა პარლამენტში წარდგენილი მათი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილებინონ.

**ლონდონი** ბევრი სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტა შეფერხდა გაფიცვის გამო. კრიზისის დასრულებამდე ვერ შეადგენენ სხვა და სხვა სახელმწიფოებში ინგლისის მეფის მოგზაურობის გეგმასაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სარკინიგზო საზოგადოებებს თათბირი ჰქონდათ, როგორი უზრუნველვყოთ რკინის გზებზე მატარებელთა მიმოსვლაო. ქვა-ნახშირის მადნების მუშათა გაფიცვის გამო გლაზგოში უსაქმოდ დარჩა ნავთსადგურის 10 ათასი მუშა.

ზოგიერდ ქარხანათა დაკეტვის გამო, გარდა მაღაროების მუშებისა, დარჩა 450 ათასი მუშა.

**მინისტრის განცხადება.**

**პარიზი.** შრომის მინისტრმა სოციალისტ ტომას უპასუხა: მთავრობა ეცდება ახლო დროში მაღაროების მუშათა სამუშაო დღის შემამცირებელ კანონის დამტკიცებასაო. მთავრობა ხელფასის მინიმუმის დაწესების წინააღმდეგია, მაგრამ ხელს შეუწყობს ხელფასისის თაობაზე საკოლექტივო ხელშეკრულებების დადებასაო. საპენსიო გადასახადსაც მეტს გამოვართმევთ დამქირავებელთაც და მუშებსაცაო. ეს გარემოება შეგვაძლებინებს მაღაროების მუშების პენსია 730 (272 მან). ფრანკამდე ავიყვანოთ, რასაც მუშები მოითხოვენო.

**დელბრუკის მოლაპარაკება.**

**ბერლინი.** რადგან გერმანიის მთამადანთა მუშების [illegible] ან, ვიცეკანცლერი დელბრუკი მუშათა ყველა მიმართულების პარტიათა ბელადებს მოელაპარაკა.

**[illegible] პალატა.**

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში კუენ-ქედერვარმა განაცხადა, იმპერატორმა შეიწყნარა კაბინეთის გადადგომის თხოვნაო. პალატამ გადასწყვიტა ახალ კაბინეთს დანიშნამდე სხდომები შესწყვიტოს.

**რ უ ს ე თ ი**

**სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირების შესახებ.**

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოში წარდგენილ იქმნა სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელთა ჯამაგირის სამინისტროს მასწავლებელთა ჯამაგირებთან გათანასწორების კანონ-პროექტი.

**რედაქტორის სამართალში მიცემა.**

„ჟივოე დელოს“ 24 თებერვლის ნომერს ყადაღა დაადვეს. რედაქტორი სამართალში მისცეს 129 მუხლის ძალით.

ყადაღა დაადვეს „რუსკოე ბოგატსტვოს“ მეორე ნომერს. რედაქტორი კოროლენკო სამართალში მისცეს 128 მუხლის ძალით.

**ცეცხლი.**

**მოსკოვი.** სოლოდოვნიკოვის და ალექსანდროვსკის ქარვასლაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი მილიონს აღემატება.

## წერილი რედ. მიმართ

**ბ-ნ ვ. საათაშვილს, *)**

(მისი წერილის გამო).

მ. ბ.

წავიკითხე თქვენი წერილი. თქვენ ბრძანებთ, ვითომ 1, მე დამპირებოდეთ წიგნებისთვეში, 2, წიგნები მოგვცლიათ ფასდადებით იანვარში, რაზედაც მაშინვე გიცნობებია, რომ ფასი ამეხსნა წიგნებზე და მე ამაზედ არაფერი მიპასუხია და 3, ეს წიგნები საჯარო ვაჭრობით გაეგზავნათ რადგან თქვენ არ გამოიყიდეთ რკინის გზიდან და დასასრულ გვთხოვთ: „პირობისამებრ ავხსნა „ფასი“ წიგნებზე და ან დავაბრუნო ბეთ გამოგზავნილი ფული და სხვ...

პასუხად მაქვს პატივი შემდეგი:

1, პირადად მე თქვენ არ გიცნობთ და არას დროს მეტი საქმეც არა მქონებია თქვენთან და არც მე მითხოვია და გამომიგზავნია თქვენთვის კვიტანციები, მაგრამ მე მაინც ვცდებულობ თქვენთან ანგარიშის გასწორებას. 2, არას დროს მე არ შემეძლო დავპირებოდი როგორც თქვენ ამას ბრძანებთ, რომ ოქტომბერში წიგნები ჩამებარებია, როცა თქვენ მე, როგორც თქვენი გამოგზავნილი კუპონის ნაჭერიც ამტკიცებს, ალექსანდრე პოლიდან 22 ნოემბერს, რაც მიგვიღია 27 ნოემბერს ჩვენგან და წიგნის ბეჭდვას ყოველთვის ჩვენ ცნობების შეკრების შემდეგ ვიწყობთ ბეჭდვას და ამასთან ნოემბრის გაზეთებში ჩვენი განცხადებებიც დაგიმტკიცებს, რომ დეკემბრის პირველიდან უნდა დაეწყო ბეჭდვა.

3, არც ერთ კვიტანციაზედ და რაიმე ინსტრუქციაზე ის არ სწერია არსად, რომ მარტო 20 კაპ. გაგზავნით ჩვენ სამი წიგნის ჩაბარება დავპირებოდეთ ვისმეს, რაც ერთობ დიდ თანხას მოითხოვს და გამომცემლობის შეძლებას აღემატება.

4, რაც შეეხება ვითომ ჩვენ არაფერი მოგვეწეროს თქვენთვის, ეს მეტის-მეტად გვაკვირვებს, რადგან ჩვენ კარგად ვიცოდით და საქმეც გვაინტერესებდა, რომ ადრე გაგეტანათ საქონელი და არ დაღუპულიყო და საჯარო ვაჭრობით არ გაყიდულიყო,—და სწორედ ამისთვის ჩვენ რამდენჯერმე მოგწერეთ, გთხოვეთ კიდეც და აგიხსენით დაწვრილებით გამომცემლობის მდგომარეობა რომ ეს მას არ შეუძლია, რადგან საშუალება არ აქვს და „დუბლიკატიც“ მის ხელში აღარ არის მეთქი, მაგრამ ამაზე თქვენ არაფერი გვიპასუხეთ.

დასასრულ თქვენ თხოულობთ თქვენგან წარმოდგენილ ბეის დაბრუნებას. და ჩვენც მზადა ვართ სავსებით ავასრულოთ თქვენი თხოვნა და გაახლოთ თქვენგან გამოგზავნილი **5 მ. 85 კ.** და ყოველივე თქვენი ხარჯები, იმათაც კი რაც გაზეთში გაგზავნილ წერილზე დაგეხარჯებოდათ. და მასთანვე გიგზავნით დღესვე 30 ცალს, უმცროს 3 წიგნს, პატივცემულ ხელის მომწერლებზე მუქთად დასარიგებლად ფულთან ერთად. იმედი მაქვს ამით მაინც დარწმუნდებით თქვენც და ჩვენი თანაგრძნობი ხელის მომწერნი, რომ ჩვენ არავის არაფერს არ ვართმევთ. გთხოვთ უმორჩილესად (კიდევ გაზეთის საშუალებითაც), რომ განცხადება შეიტანოთ მაქაურ რკინის გზის უფროსთან წიგნები უკანვე დააბრუნონ, რაც შეიძლება მალე.

დავშთებით პატივისცემით

**კ. თავართქილაძე.**

*) იბეჭდება უცვლელად.

## ჩვენი ფოსტა

**ტფილისი. ს. ჭეიშვილს.** მიჰმართეთ მას პირადად.

**რედაქტორ-გამომცემელი**

**ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ. სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—II კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს, 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს, 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ,

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ბ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს, 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს, 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—II კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

**გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.**

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—;;—

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.


## განცხადებანი

**— ს ა ნ ე რ გ ე —**

**„ოქსანა“**

სადგ. ქხანკასთან, ამიერ კავკ. რკ. გზ. **მყნობილი და ამერიკული ვაზი**, ხეხილი და სადეკორაციო ხეები, მცენარეები.

კატალოგები უფასოთ სანერგეში, კავკასიის საიმპ. სამეურნეო საზოგადოებაში, (ტფილისი, ბარიათინ.), და კოვალის თესლეულობის დეპოში (ტფილისი, მიხეილის ქ.). № 27. (2—256—1)

## გერმანელი სტუდენტი

ვაძლევ გაკვეთილებს გერმანულ ენისას აგრეთვე ვასწავლი სხვა საგნებსაც. **მისამართი;** ვეძინის ქუჩა სახლი № 1. კორაევისა სტუდ. კასრაძე. (3—257—1)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, [illegible]

**ექიმი** [illegible] [illegible] ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრევბსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათ ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(100—1615—28)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.24)

**გაყიდულია ორ მილიონზე**
**მეტი კოლოფი**
**სინორჩესა**
**და სილამაზეს**
**აძლევს**
**ყოველ ქალის**
**სახეს**
**კ რ ე მ ი**
**კ ა ზ ი მ ი**

## = მეტამორფოზა =

ძირიანად სპობს ფერიმჭამელას, მზის ნამწვს, სახის ლაქებს, ჭორფლს, ნაოჭებსა და სახის სხვა ნაკლულევანებას.




მეტა- ფარმ.-მასყუ. დებარტ. № 4685. მეტალ. 11.274. (1.1117.1)

**დაზღვევა მეორე მომგებიან ბილეთებისა 5 მ. 60 კ.**

**5% მოგებით, ტირაჟში გამოსვლიდან 1912 წ. 1 მარტს.**

მოითხოვეთ პროსპექტები მომგებიან ბილეთების სყიდვისა ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდით

**საბანკო სახლის კავკასიის საგენტოში ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.**

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65. **ტელეფ. № 11—17.** (3.1122.3)

**„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“**

**1860 წელს დაარსებული.**

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

**პარიზი 1900.** **ყვავილის ო-დე-კოლონი,**

**„საუცხოვო აკაცია“,**

**„ნუ დამივიწყებ“,**

**„მხიბლავი სუმბული“.**

**თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი**

**✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦**




მთავარი საწყობი: ტფილისი, საარფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.13)